# ხელწერილი

## ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

დაბა ხულო 1 აპრილი 2011 წ.

ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრები ვადასტურებთ, რომ სოფელ რიყეთში, სოფელ დიოკნისში, სოფელ ღორჯომში, სოფელ აგარაში, სოფელ ყინჩაურში, სოფელ ფუშრუკაულში, სოფელ ხიხაძირში და სოფელ თხილვანაში განლაგებული სასოფლო ამბულატორიის შენობის მიმდინარე სარემონტო სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე, ხულოს მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნას და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

კომისიის თავმჯდომარე: /გ. ქედელიძე/

წევრები: /ე. აბულაძე/

/გ. დეკანაძე/

/ვ. ცეცხლაძე/

/ე. ბოლქვაძე/

# ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო კომისიის სხდომის

## ოქმი №5

01.04.2011 წ.

დაბა ხულო

სხდომას უძღვებოდა: კომისიიის თავმჯდომარე – გივი ქედელიძე

კომისიის წევრები: ემზარ აბულაძე, გურამ დეკანაძე,

ვაჟა ცეცხლაძე, ელდერ ბოლქვაძე

**დღის წესრიგი:** ხულოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიყეთში, სოფელ დიოკნისში, სოფელ ღორჯომში, სოფელ აგარაში, სოფელ ყინჩაურში, სოფელ ფუშრუკაულში, სოფელ ხიხაძირში და სოფელ თხილვანაში განლაგებული სასოფლო ამბულატორიის შენობის მიმდინარე სარემონტო სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე სახელმწიფო შესყიდვისთვის გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადის შერჩევა/შეფასება.

მომხსენებელი: ე. ბოლქვაძე

მომხსენებელმა აღნიშნა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სოფელ რიყეთში, სოფელ დიოკნისში, სოფელ ღორჯომში, სოფელ აგარაში, სოფელ ყინჩაურში, სოფელ ფუშრუკაულში, სოფელ ხიხაძირში და სოფელ თხილვანაში განლაგებული სასოფლო ამბულატორიის შენობის მიმდინარე სარემონტო სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე სახელმწიფო შესყიდვისთვის გამოცხადებულ კონკურსში საკონკურსო განაცხადი წარმოადგინა მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა.

1. ი.მ. „მიხეილ ბოლქვაძე"

მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შედგება შემდეგი დოკუმენტებისგან:

1. საკონკურსო განცხადება
2. აფიდავიტის ხელმოწერილი ფორმა

3. ფასების ცხრილი
4. ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების თაობაზე
5. რეკვიზიტები
6. საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი

**განიხილეს** ი.მ. „მიხეილ ბოლქვაძე“-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რადგანაც საკონკურსო განაცხადი წარმოადგინა ერთმა პრეტენდენტმა და მისაღებია მისი ფასიც.

დაადგინეს:

1. ი.მ. „მიხეილ ბოლქვაძე“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი შესაბამისობაშია საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

2. ი.მ. „მიხეილ ბოლქვაძე“-მ უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელთა წარმოდგენისათვის განესაზღვროს ვადა კონკურსის ჩატარების დღიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

3. საკონკურსო კომისიის წევრმა ელდერ ბოლქვაძემ უზრუნველყოს აღნიშნული შეტყობინებების გაგზავნა საკონკურსო განაცხადში პრეტენდენტის მიერ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე არაუგვიანეს 2011 წლის 1 აპრილისა.

კომისიის თავმჯდომარე: /გ. ქედელიძე/

წევრები: /ე. აბულაძე/

/გ. დეკანაძე/

/ვ. ცეცხლაძე/

/ე. ბოლქვაძე/

# ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო კომისიის სხდომის

# ოქმი №6

დაბა ხულო 06.04.2011 წ.

**სხდომას უძღვებოდა:** კომისიის თავმჯდომარე – გივი ქედელიძე

კომისიის წევრები: ემზარ აბულაძე, გურამ ჩოგაძე,

გურამ დეკანაძე, ვაჟა ცეცხლაძე, ელდარ ბოლქვაძე

**დღის წესრიგი** სოფელ რიყეთში, სოფელ დიოკნისში, სოფელ ღორჯომში, სოფელ აგარაში, სოფელ ყინჩაურში, სოფელ ფუშრუკაულში, სოფელ ხიხაძირში და სოფელ თხილვანაში განლაგებული სასოფლო ამბულატორიის შენობის მიმდინარე სარემონტო სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვისთვის გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე ი.მ. „მიხეილ ბოლქვაძე"-ს მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების განხილვა.

**მოისმინეს:** ვაჟა ცეცხლაძის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ: სოფელ რიყეთში, სოფელ დიოკნისში, სოფელ ღორჯომში, სოფელ აგარაში, სოფელ ყინჩაურში, სოფელ ფუშრუკაულში, სოფელ ხიხაძირში და სოფელ თხილვანაში განლაგებული სასოფლო ამბულატორიის შენობის მიმდინარე სარემონტო სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე სახელმწიფო შესყიდვისთვის გამოცხადებულ კონკურსზე მონაწილე ი.მ. „მიხეილ ბოლქვაძე"-ს მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები შემდეგია:

ა). ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

ბ). ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება

ი.მ. „მიხეილ ბოლქვაძე"-ს მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები სრულად შეესაბამება ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო დოკუმენტაციით მოთხოვნილ საკვალიფიკაციო დოკუმენტებს.

დაადგინეს:

1. ი.მ. „მიხეილ ბოლქვაძე“-ს მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები სრულად აკმაყოფილებს საკონკურსო განაცხადით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. ეცნობოს ი.მ. „მიხეილ ბოლქვაძე“-ს მისი გამარჯვებულად გამოვლენის თაობაზე სახელწიფო შესყიდვის შესახებ.

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის წევრ ელდარ ბოლქვაძეს ხელშეკრულების პროექტის მომზადება.

4. საკონკურსო კომისიის წევრმა ელდარ ბოლქვაძემ უზრუნველყოს აღნიშნული შეტყობინებების გაგზავნა საკონკურსო განაცხადში პრეტენდენტის მიერ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე არაუგვიანეს 2011 წლის 6 აპრილისა.

კომისიის თავმჯდომარე: /გ. ქედელიძე/

წევრები: /ე. აბულაძე/

/გ. ჩოგაძე/

/გ. დეკანაძე/

/ვ. ცეცხლაძე/

/ე. ბოლქვაძე/